„დინამო“ (თბილისი) – „ზენიტი“ (ლენინგრადი)

თბილისი. 3 აპრილი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი.

„დინამო“ (თბილისი) – „ზენიტი“ (ლენინგრადი) 0:0.

„დინამო“: გაბელია, სვანაძე, ჩივაძე, აფციაური, მალანია, რევიშვილი (ბიგვავა, 73), კორღალიძე (ჩელებაძე, 73), სულაქველიძე, ცაავა, კაკილაშვილი, შენგელია.

„ზენიტი“: ბირიუკოვი, დავიდოვი, სტეპანოვი, კუზნეცოვი, ვორობიოვი, ლარიონოვი, დოლგოპოლოვი, ბარანიკი, კანიშჩევი (აფანასიევი, 65), დმიტრიევი (ულუდკოვი, 87), დანილოვი.

მსაჯი ა. კირილოვი (მოსკოვი).

გააფრთხილეს დანილოვი.

... საფინალო სასტვენამდე 17 წუთით ადრე თბილისელებმა ერთდროულად ორი მოთამაშე შეცვალეს. მინდორზე გამოსულმა გამოცდილმა ჩელებაძემ და ახალგაზრდა ბიგვავამ ბრძოლას სიმძაფრე შემატეს, მე-80 და 85-ე წუთებზე ბიგვავამ ტაში დაიმსახურა: იგი ჯერ მარცხენა გარემარბის პოზიციიდან შეიჭრა ლენინგრადელთა საჯარიმოში, მეორედ კი მარცხენა შუამარბის ადგილზე განახორციელა სწრაფი დრიბლინგი მინდვრის ცენტრიდან მეტოქის საჯარიმომდე, მაგრამ ამ შეტევის დასკვნით ფაზაში, როცა ერთი ზუსტი პასის შესრულება იყო აუცილებელი, „ზენიტის“ მცველებმა დაძაბულობა განმუხტეს. 84-ე წუთზე დინამოელებს კარის აღების ერთადერთი რეალური შესაძლებლობა მიეცათ: ჩელებაძე კარგ პოზიციაში აღმოჩნდა და დაახლოებით მეკარის მოედნის კუთხიდან დაარტყა კარში, მაგრამ აქ ბირიუკოვმა ითამაშა კარგად - ფეხით მოიგერია ბურთი.

უნდა ითქვას, რომ ლენინგრადელთა ტანმაღალი თავდამსხმელების დმიტრიევისა (186 სმ) და დანილოვის (190 სმ) წინააღმდეგ ბრძოლა თბილისელთა მცველებისთვის ადვილი არ იყო. „ზენიტის“ თავდამსხმელებს ძირითადად სულაქველიძე და მალანია ეთამაშებოდნენ მონაცვლეობით. მათ თანაგუნდელთა დახმარებით გადაჭრეს თავიანთი ამოცანა და ისიც, რომ „დინამო“ მთელი მატჩის მანძილზე ინარჩუნებდა ტერიტორიულ უპირატესობას, ნახევარდაცვის შემწეობით მოხდა. შუა ხაზის მოთამაშეები ბევრს მოძრაობდნენ. ამ დღეს სწორედ ნახევარდაცვაში თამაშობდა გუნდის დებიუტანტი, „ნორჩი დინამოელის“ აღზრდილი, 17 წლის მამუკა აფციაური. ახალგაზრდებს რომ მეტ ნდობას უცხადებენ მწვრთნელები, ეს უდავოდ კარგია, მაგრამ დებიუტანტებს ასევე მეტი ნდობა უნდა გამოუცხადონ გულშემატკივრებმაც. მონდომებით, ძველებური ტემპერამენტით იბრძოდა დინამოელთა ვეტერანი შენგელია. იბრძოდა მთელი გუნდიც, რათ ამჯერად მაინც არ გაეწბილებინა გულშემატკივრები, რომლებიც მიუხედავად თბილისელთა წარუმატებელი სტარტისა, მაინც ერთგულად მოვიდნენ სტადიონზე (33.380-იანი

აუდიტორია უმაღლესი ლიგის ბევრი კლუბისთვის დღეს იშვიათობაა). მიუხედავად ფეხბურთელებისა და გულშემატკივართა ამ ერთსულოვნებისა, აგრეთვე „დინამოს“ მიერ მოპოვებული პირველი ქულისა, ერთნიც და მეორენიც გულნაკლულნი ტოვებდნენ სტადიონს: გამარჯვების ზეიმი კვლავ გადაიდო. ლენინგრადის „ზენიტი“ ბოლო წლებში ჩვენთვის გადაულახავ დაბრკოლებად იქცა (ამ გუნდებს შორის საკავშირო ჩემპიონატების ბოლო 8 შეხვედრიდან 7 ლენინგრადელებმა მოიგეს), თბილისელებს ორი ძირითადი ფეხბურთელი აკლდათ - ჭედია (მან ორი გაფრთხილება მიიღო) და კეტაშვილი (იგი დაშავებულია).

მომდევნო მატჩს თბილისელები კვლავ შინ გამართავენ, ამჯერად ალმა-ათის „ქაირათთან“.

ზურაბ ფოცხვერია

“ლელო”, 5.04.1987